№ 214

სამშაბათი, 29 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 214

სამშაბათი, 29 ნოემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

მიტინგი

ნეიტრალ ქართველებისა

მოხდება დღეს, სამშაბათს, დილის 11 საათზედ, **ვერაზე** სათავად აზნაურო გიმნაზიის ახალ შენობასთან, სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის შესახებ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ვბალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს ადოსტ?არო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუხხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ვქელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიხამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარინის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

უ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ზ. ამეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ჯ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—$7^1/_2$ საათ.

ხ. აზიანცი—შინაგან ავადმყ. 7—$7^1/_2$ საათ.

გ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. 	Тел.**

ტფილისი, 29 ნოემბერი

ეს რამდენიმე დღეა, ტფილისში ისეთი ამბები ხდება, რომ შეუძლებელი შეიქმნა მოქალაქობრივი ცხოვრება და კულტურული საქმიანობა. იმ დროს, როცა ჯერ კიდევ დასამთავრებელია რევოლუციის საქმე და დასამყარებელია მოქალაქობრივი თავისუფლება, ორი ხალხი—სომეხი და თათარი—ერთმანეთს წასევია, ერთი მეორეს სასიკვდილოდ არ ინდობს და მთელ ქალაქს ეროვნულ ომის ასპარეზად ხდის. იმ დროს, როცა მთელი საქართველო უკეთეს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებისათვის იბრძოდა, როცა ყველას ყურადღება ცხოვრების ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე იყო მოქცეული, როცა კერძოდ ჩვენ, ქართველებს, ათასი საზრუნავი და საჭირო საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ქალაქში იწყება თოფების გრიალი, იღვრება ადამიანთა აუარებელი სისხლი, იშვება მოქალაქობრივი ცხოვრება და ყველას საზრუნავ საგნად ეს-ღა გვიჩნდება, რომ ადამიანის სიცოცხლე როგორმე უზრუნველვყოთ სწორედ იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც—შეგნება რომ ჰქონდეთ—იარაღი ხელში სულ სხვა საწადელისა და მიზნისთვის უნდა ეპყროთ.

სიტყვის დახარჯვაც კი არაა საჭირო იმაზე, რომ ქართველობა პასიური და უმონაწილო მაყურებელი ვერ იქმნება ტფილისის ამბებისა. ქართველ ხალხს არ ჰქონდა უფლება, ენერგიულად ჩარეულიყო ხოცვა-ჟლეტაში, როცა ეს ხოცვა-ჟლეტა კავკასიის სხვა ადგილებში ხდებოდა, სადაც მცხოვრებნი უმთავრესად თათრებისა და სომხებისაგან შესდგებიან, მაგრამ ასევე არაა საქმე საქართველოში, სადაც ქართველობა ისტორიულად და ფაქტიურად მასპინძელი იყო და არის ეხლაც. თათრები და სომხები თუ დამღუპველ მტრობასა და ერთმანეთის ხოცვას თავს არ ანებებენ, თუ მათ სურთ გასწირონ თავიანთი მერმისი და გაანადგურონ კულტურული ასპარეზი ხალხოსნურ განვითარებისა,—ეს სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენის ძალღონით ხელი შევუშალოთ სომხებსა და თათრებს მთელს კავკასიაში და არ დავანებოთ, რომ მათ თვითკვლელობა ჩაიდინონ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან და მოვალენიც ვართ მათს ბრძოლას საზღვარი დავუდოთ თვით საქართველოში. აქ ჩვენთვის შეუძლებელი ხდება ყოველგვარი კულტურული მუშაობა ამ ხოცვა-ჟლეტის მიზეზით, და ამიტომ, სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტოოდენ ხალხოსნურ თვითარსებობის შეგნება გვავალებს ჩვენ, ორსავე მხარეს—როგორც თათრებს, ისე სომხებს—რეალური ძალა დავანახვოთ და გამოვუცხადოთ, რომ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტას აქ, ჩვენში, მათ ვერ დაეანებებთ. ჩვენ, ვითარცა ნეიტრალური მხარე, არც ერთს მეომარ „პარტიას“ არ ვემხრობით, მაგრამ მოვითხოვთ, რომ სისხლის ღვრა შესწყვიტონ და აუცილებელი პირობები მოქალაქობრივ ცხოვრებისა არ შეგვირყიონ. ჩვენ არ გვინდა, რომ საქართველოზედაც ასე ილაპარაკოს მთელმა ქვეყანამ: იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად შეუგნებელი ბრბოა, რომელიც პოლიტიკურ რევოლუციის დროს ერთი მეორეს ჟლეტს და არბევსო.

ამიტომ საჭიროა ხალხის შეიარაღება, საჭიროა ნეიტრალ ქართველ ჯარის შედგენა როგორც თავის დასაცავად, ისე მებრძოლთა შესაჩერებლად და სამარცხვინო სისხლის ღვრის მოსასპობად. ეს ისეთი საქმეა, რომელიც ყველა პარტიებს აინტერესებს და ამიტომ მასში ყველა პარტიებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

თორემ ეროვნულ შოვინიზმით გაელენთილი და დაბრმავებული ბრბო არ დასცხრება და არ გაჩერდება, თუ მან ნამდვილი ძალა არ დაინახა...

რჩევა

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ღონეს ჰზოგვენ, არც ძალსა.

—

ორივეს მტერი ერთია,
შორეულ, გადამთიელი;
ერთ ტაფაშია ორივე,
ერთი ბდგიათ უღელი.

—

ძაღლმაც კი იცის—პირუტყვმა:
შინ ბრძოლა მაშინ ძნელია,
როცა იმაზე მიმსვლელად,
გარეშე მტერი, მგელია.

—

და კაცს კი, მაღალ ქმნილებას,
ძაღლისაც არ აქვს შეგნება:
დაბრმავებულა ენებითა!..
შური ცეცხლივით ეგზნება!!.

—

გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა.

—

ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?

—

შეერთდით, ძმებო! შერიგდით!
ხელი-ხელს მიეცით ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს,
თამამად... ვაჟკაცურადა.

აკაკი.

სისხლის ღვრა ტფილისში

—

23 ნოემბერს, ღამით, მეექვსე საპოლიციო უბანში დრო-გამოშვებით თოფებისა და რევოლვერების სროლა იყო, მაგრამ ამ გარემოებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან ასეთი ამბები ბოლო ხანს ჩვეულებრივად გადაიქცა. ღამით ამავ უბანში ვიღაც უცნობის მიერ დამტვრეულ იქმნენ თათრების დუქნები და მაღაზიები და გადტანილ იქმნენ საქონელი და ფული.

24 ნოემბერს, დილით, ქალაქში სიწყნარე იყო. მაღაზიები ნელ-ნელ გაიხსნა, გარდა თათრებისა, რომელთაც დუქნები ქალაქის შუა ნაწილში აქვთ. ქარხნებსა, სტამბებსა და რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში მუშაობა განახლდა. წინა დღით შეშინებულნი სომხები მეექვსე საპოლიციო უბნიდან და სოლოლაკიდან სხვა ადგილებში გაიხიზნენ.

ცხრა საათზე ვორონცოვის ძეგლთან რიყიდან ელექტრონის ტრამვაის ვაგონები გაქანებული მოჰყავდათ. კონდუქტორებმა და ვატმანებმა სთქვეს: ეს არის სროლა ისევ დაიწყო. ჯერ სროლა აბანოებს აქედან ასტყდა და ახლა მთელს მეექვსე საპოლიციო უბანში თოფებისა და რევოლვერების დაუსრულებელი გრიალი გაისმისო.

როდესაც ეტლების ხმაურობა მისწყდებოდა ხოლმე, სროლა მეექვსე უბნიდან შუა ქალაქში კარგად გვესმოდა. ქალაქის შუა ნაწილში სომხებმა რამდენიმე თათარი მოჰკლეს.

მეექვსე საპოლიციო უბანში ამ დღეს სროლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მეორე დღეს.

მუშაობას ხელ-ახლავ ყველამ თავი გაანება. გაისმა რკინის გზის სახელოსნოების საყვირის ხმა და ხუთს წამს ყველგან დუქნები და მაღაზიები დაჰკეტეს. მუშებმა საჩქაროდ გაგზავნეს მეექვსე საპოლიციო უბანში შეიარაღებული რაზმი და სანიტართა ჯგუფი.

თერთმეტს საათზე ქალაქის გამგეობაში შევიარე, სადაც ქალაქის მოურავს დიდძალი ხალხი შემოხვეოდა და სთხოვდა: ჩქარა იღონეთ რამე საშინელ სისხლის ღვრის მოსასპობლადაო. ქალაქის მოურავმა სთქვა: რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა დღეს დაწყებულ ახალ სისხლის ღვრის გამო მუშაობას თავი გაანებეს და ახლა ნაძალადევში ბჭობა აქვთ იმის შესახებ, რომ ღონისძიებანი იქმნეს გამოძებნილი საზარელ ამბების მოსასპობად. ისინი, პროცესიით და თეთრის ბაირაღებით ხელში, მეექვსე საპოლიციო უბანში წასვლას აპირებენ. მე მეშინიან, რომ ერთს უბედურებას მეორე არ მიემატოს და მთავრობამ პროცესიას ჯარი არ მიუსიოსო. ამის გამო მე შევეკითხე გუბერნატორს და მითხრა, საწინააღმდეგო არა მაქვს-რა, რომ მუშები მეექვსე საპოლიციო უბანში წავიდნენო.

ამ დროს მოურავს გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ს რედაქციიდან შეატყობინეს, აქ თათბირია და დაესწარიო.

„ვოზროჟდენიე“-ს რედაქციაში კრება ჰქონდათ საზოგადოებისა და ტფილისის ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს. კრებას ტფილისის პოლიცმეისტერიც დაესწრო. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომელიც მანამდე უკვე შემუშავებული იყო ნაძალადევში გამართულ სახალხო მიტინგზე: კრებაზე დამსწრენი სავსებით ეთანხმებიან სოციალ-დემოკრატების მიერ ნაძალადევის მიტინგზე მიღებულ რეზოლიუციას და მათთან ერთად მოითხოვენ: 1, რომ სახალხო დრუჟინას იარაღი მიეცეს მცხოვრებთა დასაცველად და 2, რომ ჯარის კაცების უფროსები, რომელთაც ქალაქში წესიერების დამყარება დაევალებათ, მოქმედებდნენ პოლიტიკურ პარტიათაგან დანიშნულ კაცებთან შეთანხმებით. პოლიცმეისტერი ნამესტნიკთან გაეშურა და გადასცა კრების დადგენილება. ჩქარა მოვიდა და განაცხადა—ნამესტნიკი თანხმაა იარაღი მოგცეთო. ნამესტნიკთან შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის „მეუმცირესეთა“ წარმომადგენელი ის. რამიშვილი იქმნა გაგზავნილი და ნამესტნიკმა იარაღის მიცემა აღუთქვა, თუ რამიშვილი პატიოსანს სიტყვას მისცემდა, რომ იარაღს, მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ, ისევ დაუბრუნებდნენ მთავრობას, ის. რამიშვილმა პატიოსანი სიტყვა მისცა და საღამოთი იარაღი მიიღო.

ამ დღეს ტფილისის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებმა დარაზმეს თავიანთი კაცები და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედება დაიწყეს. ერთხანს კი სცადეს, ყველა ორგანიზაციებიდან ამორჩეულიყო დელეგატები და ბიურო შეედგინათ, რომელიც იქმნებოდა ამ საქმეში ყველა პარტიის ხელმძღვანელი. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის „მეუმცირესეთა“ ფრაქციამ მოითხოვა, რომ სხვა ორგანიზაციებს მისი ხელმძღვანელობით ემოქმედნათ, რაზედაც სხვები არ დათანხმდნენ, და დღესაც მოქმედებენ დამუკიდებლად, თავიანთ კომიტეტების ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამ დღეს, 24 ნოემბერს, შუადღისას, ტფილისის მახლობლად მდებარე სოფლების შინდისის, თელეთის და სხვა სოფლების გლეხნი ტფილისში ჩამოვიდნენ და პოლიცმეისტერს შესჩივლეს: ბორჩალოს თათრები თავს დაგვესხნენ, ერთიან აგვიკლეს და საქონელი გაირეკესო. გლეხებმა პოლიცმეისტერს იარაღი სთხოვეს. პოლიცმეისტერმა ისინი ნამესტნიკთან წაიყვანა, რომელმაც მათი თხოვნა დააკმაყოფილა.

ღამით ქალაქში მშვიდობიანობა იყო. პოლიტიკურ ორგანიზაციების მიერ შეიარაღებული რაზმები ყოველ უბანს გარს უვლიდნენ და წესიერებას იცავდნენ. სომხებისა და თათრების უბანში უფრო ძლიერი რაზმები იყო ჩაყენებული, ვიდრე სხვა ადგილებში. ამ ღამეს რაზმებმა რამდენიმე ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს, რომელნიც დუქნებსა და მაღაზიებს ამტვრევდნენ, და ორგანიზაციათა ბიუროებს გადასცეს გასამართლებლად.

25 ნოემბერს მშვიდობიანობა იყო. თუმცა პროვოკატორები ბევრგვარად სცდილობდნენ სომხებსა და თათრებს შორის ხოცვა-ჟლეტის ხელახლავ გამოწვევას. მომეტებული ნაწილი ასეთ პროვოკატორებისა ხალხის მიერვე შეპყრობილ იქმნა და მსჯავრის დასადებად პოლიტიკურ პარტიებს გადაეცათ.

ამ დღეს გამოვიდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პროკლამაცია, რომლითაც პარტია მიმართავს სომხებს და მაჰმადიანებს,—მოსპეთ ეს სამარცხვინო ველურობა, შურის ძიების გრძნობას ნუ აჰყვებით, ამისი დრო არ არის; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქმნებით მთელის ჩვენის ძალღონით ავსდგეთ და დავსაჯოთ დამნაშავენი, რომელნიც უაზრო მტრობით ღუპავენ საერთო საქმესო.

ამავ დღეს შესდგა ტფილისში წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ყოველ ნაირი დახმარება აღმოუჩინოს ხოცვა-ჟლეტის დროს დაჭრილ-დაშავებულებს. ქალაქის თვითმართველობის სამკურნალოების ფერშლებმაც გადაწყვიტეს, სამკურნალო დახმარება უფასოდ აღმოუჩინონ დაჭრილ-დაშავებულთ.

ბევრი სხვადასხვა ამაღელვებელი ამბები ვრცელდებოდა ქალაქში. 25 ნოემბერს, დილიდანვე გავრცელდა ხმა, სოღანლუღიდან ტფილისში შეიარაღებული თათრები მოდიან, რომლებმაც სომხები უნდა ამოსწყვიტონო. დაუყოვნებლივ საზოგადოებიდან არჩეულ იქმნა დეპუტაცია და თათრების დასახვედრად გაიგზავნა, აგრეთვე ჯარი, რომელმაც ძალა უნდა ეხმარა, თუ დეპუტაციას თათრები არ დაუჯერებდნენ და ქალაქში შემოსვლას მაინც მოინდომებდნენ. საქმე მშვიდობიანად დამთავრდა.

ამავ დღეს ნაძალადევში სოციალ-დემოკრატებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც ხალხი ოცი ათასამდე დაესწრო. ხალხს დაურიგდა ის იარაღი, რომელიც დღით სოციალ-დემოკრატებს ნამესტნიკმა მისცა. მიტინგზე გამოცხადდა რიყეზე მცხოვრებ მალაკნების წარმომადგენელი და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 377 მანათი გადასცა. წარმომადგენელმა სთქვა: რიყეზე მცხოვრებმა მალაკნებმა გადასწყვიტეს, შეუერთდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ფული გადმოგცენ და გთხოვონ, რომ მოაშოროთ მალაკნებს სამარცხვინო სახელი „ხულიგანებისაო“.

ამ დღეს ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოების მოხელეებმა მიტინგი გამართეს. ილაპარაკეს სომეხთა და თათართა შორის დაწყებულ ხოცვა-ჟლეტის შესახებ. გადასწყდა: 1) მოხელეთაგან დაარსებულ იქმნას საომარი და სასანიტარო რაზმები; 2) რაზმებმა იმოქმედონ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით და 3) მოხელეებმა მოსთხოვონ რკინის გზის უფროსის მოადგილეს, რომ დაუყოვნებლივ იარაღი დაურიგოს მათ. მოხელეებმა საჩქაროდ დეპუტაცია გაუგზავნეს რკინის გზის უფროსის მოადგილეს, რომელიც დაჰპირდა: დაუყოვნებლივ ნამესტნიკთან წავალ, 250 ბერდანის თოფსა და რევოლვერებს გამოვითხოვ თქვენთვისაო.

საღამოს ნავთლუღთან დაბანაკდნენ მახლობელ სოფლებიდან ტფილისში წამოსულნი თათრები. სომხების უბანს შიშის ზარი დაეცა. ამის გამო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თათრებთან ნავთლუღის იქით დეპუტაცია გაჰგზავნა, რომლებმაც აუხსნა თათრებს: ქალაქში სისხლის ღვრა აღარ არისო. თათრები ტფილისში აღარ შემოსულან.

25 ნოემბერს ქალაქის საბჭოს ხმოსნებს და ტფილისის პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს კერძო თათბირი ჰქონდათ. განსახილველი იყო ბ. ნ. დეუნკოვსკის წინადადება, ნამესტნიკს გადაუწყვეტია თავისს საბჭოსთან დააარსოს განსკუთრებული საბჭო, ბ. ნ. დეუნკოვსკის თავმჯდომარეობით. ამ საბჭომ უნდა გამონახოს ღონისძიებანი ხალხის დასამშვიდებლად. წევრებად უნდა იყვნენ საბჭოსაგან არჩეული მოქალაქენი, რიცხვით რვა (ორი ქართველი, ორი რუსი, ორი სომეხი და ორიც მაჰმადიანი). დეუნკოვსკის ნამესტნიკისთვის უთხოვნია, საბჭოში პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელნიც იყვნენო და ნამესტნიკიც დათანხმებულა. ხმოსნებთან თათბირის დროს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებმა გადაჭრით უარი სთქვეს ამ საგანგებო საბჭოში მონაწილეობის მიღებაზე, ხოლო ხმოსნებმა სურვილი განაცხადეს და თავიანთ წარმომადგენლებად აირჩიეს: თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ს. ფ. ჰრელაშვილი, ა. ი. ხატისოვი, ნ. ნ. არუთინოვი. მთავრობის მხრივ საბჭოს წევრებად არიან: ტფილისის გუბერნატორი ბარონ რაუშ-ფონ ტრაუბენბერგი, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, ნამესტნიკის მდივანი პუშჩინი, ტფილისის პოლიცმეისტერი ცისსი და სხ. საბჭოს პირველი კრება ამავ დღეს ჰქონდა. გადასწყვიტეს, პოლიცია ქალაქის თვითმართველობას დაუქვემდებარონ.

შემდეგ დღეებში ქალაქში ცოტა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ 27 ნოემბერს საღამოს ისევ სროლა ასტყდა.

---

27 ნოემბერი ტფილისში

—

ამ დღეს ნაძალადევში სახალხო მიტინგი მოიწვია ტფილისის მუშათა ორგანიზაციამ. მიტინგზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, განსაკუთრებით ეინტერესებოდათ ამ უკანასკნელ დღეებში ტფილისში მომხდარ სამწუხარო სისხლის ღვრის ამბები. ბევრი ილაპარაკეს გადამტერებულ ორის ერის შერიგებასა და შეერთებაზე, რამდენიმე შესაფერი რეზოლუციებიც მიიღეს და ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე ხალხი დაიშალა.

ცოტა ხნის შემდეგ გაცხარებული სროლა გაისმა. გოლოვინის პროსპექტზე, საკომენდანტოს სამმართველოსთან მივედი; ჯარის-კაცებმა სასახლის წინ არ გამიშვეს. აქ ერთი აფიცერი ვნახე. ვკითხე: ვინ ისროდა-მეთქი, და პასუხად მივიღე: „აი, აქ ერთმა თქვენმა სოციალ-დემოკრატმა-მილიციონერმა ამ წუთში ერთი მსროლელთა ბატალიონის ჯარის-კაცი მოჰკლაო; ამის გამო სალდათები აღელვებულნი არიანო“. აფიცერს ვუპასუხე, რომ ეს ხმები საზიზღარი ჭორი და ცილისწამებაა, მილიციონერი სალდათს თოფს არაოდეს არ ესვრის-მეთქი. მან მითხრა: თუ სიმართლის გაგება გინდათ, საკომენდანტოში მიბრძანდით, იქ ასვენია სალდათის გვამიო. გავეშურე საკომენდანტოში, მაგრამ არ შემიშვეს. მივედი ერთ ნაცნობთან, რომელსაც ტელეფონი ჰქონდა, შევეკითხე საკომენდანტოში, მაგრამ პასუხად მივიღე, მილიციონერებს სალდათთაგანი არავინ არ მოუკლავთო. სროლა თანდათან უფრო ძლიერდებოდა. ამ დროს ვერიდან მოდიოდა ორი ეტლი, შიგ რამდენიმე სპარსელი თათარი იჯდა და ორ-ორი მილიციონერი მოჰყვებოდა. ნამესტნიკის სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, სასახლისა და სამხედრო ტაძრის შუა, ერმოლოვის ქუჩაზე, სადაც კაზაკთა ყაზარმაა, მილიციონერების ეტლი გააჩერა ოცამდე კაზაკმა, რომელნიც სპარსელებს შეეკითხნენ: საიდ მიდიხართ და ეს თოფიანები ვინ არიანო. მილიციონერებმა უპასუხეს, ჩვენ ამათი დამცველნი ვართ, სპარსეთის უმთავრეს საკონსულოში უნდა მივიყვანოთო. კაზაკებმა ერთმანეთს შესძახეს: „давай, ребята, его бить“, და დაუწყეს ცემა. მილიციონერებმა უთხრეს, რათა გვცემთო, მაგრამ დაინახეს რომ კაზაკებს თანდათან ემატებოდათ ამხანაგები, და გაიქცნენ გოლოვინის პროსპექტისაკენ. ბერდანის თოფი კაზაკებმა ორთავეს წაართვეს და შემდეგ გამოქცეულ მილიციონერებს თავიანთი თოფები დაუშინეს. მძიმედ დასჭრეს მარჯვენა მკერდში მილიციონერი თეოფილე ბაბილოძე, გურული, სოფელ მაკვანეთიდან. ამბობენ, მასთან მყოფი ამხანაგი—მილიციონერი მოჰკლესო, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერი გავიგეთ ვერც მიხეილის საავადმყოფოში და ვერც სხვაგან, ასე რომ, ჯერ-ჯერობით მისი ამხანაგი არც მკვდარი აღმოჩნდა და არც ცოცხალი. საღამოს 5 ს. 25 წუთზე გავეშურე თათრის მოედნისაკენ, სადაც ამ დროს გაცხარებული სროლა იყო. ქუჩებში ყველგან მილიციონერები ყარაულობდნენ და მოედნისაკენ მარტო არ გამიშვეს.

აბანოებთან მილიციონერებმა მითხრეს, ახლა ყველაფერი დაწყნარებულიაო. დავბრუნდი გზიდან და შემოვიარე სიონის ქუჩაზე, სადაც დაჭრილთა შესახვევი პუნქტი იყო.

საღამოს 10 საათამდე მიხეილის საავადმყოფოში დაჭრილები მიიყვანეს: 1) თეოფილე ბაბილოძე (მძიმედ დაჭრილია კაზაკებისაგან მარჯვენა მკერდში, მაგრამ ექიმები მორჩენის იმედს იძლევიან); 2) ივანე ბეკეტოვი (რკინის გზის უმთ. სახელოსნოების მუშა), მარჯვენა ბარკლის ძვალი დამსხვრეული აქვს; 3) ერთი თათარი, რომლის ვინაობაც ვერ გაიგეს, მსუბუქად დაჭრილია მუცელსა და თავში.

მნახველნი ამბობენ, კიდევ არიან დაჭრილნი, დაახლოვებით ოთხი თუ ხუთი კაციო, მაგრამ მიხეილის სამკურნალოში ჩამოთვლილებს გარდა მეტი ვერავინ ვნახეთ, ვერც დაჭრილი და ვერც მოკლული.

მან-მან.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირი

შაბათს, 26 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება იყო დანიშნული, მაგრამ, რადგან ამ დღეს ბევრი ამაღელვებელი ხმები გავრცელდა, კრებამ კერძო თათბირის ხასიათი მიიღო.

რამდენიმე არა-ხმოსანმა სომეხმა განაცხადა: გუშინ, 25 ნოემბერს, ტფილისში ჩამოვიდა ბორჩალოს მაზრის 150 შეიარაღებული თათარი და თათრების უბანში სდგასო. აგრეთვე დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ბორჩალოდანვე ჩამოვიდა 200—300 კაცი და ისიც თათრების უბანში დაბინავდა. ასე რომ მოსალოდნელია ეს აუარებელი შეიარაღებული ხალხი ამაღამ სომხობას დაეცეს და მთელი ქალაქი აიკლოს.

ერთმა სომეხმა, „დაშნაკცუტიუნ“-ის წარმომადგენელმა, აღელვებული ხმით სთქვა: სრული ათი თვეა, ჩვენს ნერვებს არ დაუსვენია. ყოველ დღე გვესმის საზარელი ამბები სომხების ჟლეტის შესახებ. აღარ შეგვიძლიან ამდენი უბედურების ატანა. უბედურებამ და მუდმივ შიშში ყოფნამ სულით დაგვაავადმყოფა მთელი სომხობა. ხმოსნებმა ყოველგვარი ღონისძიებანი უნდა მიიღონ, რომ ამაღამ არავითარი უბედურება არ მოხდეს. დღეს ერთი პროვოკატორული სროლა რომ გავიგონოთ, ჩვენ, ყველა სომხები, გამოვიტანთ ჩვენს პატარა რევოლვერებს და სროლას ავტეხავთ, თუ გინდა ამისთვის მთელი სომხობა გაუბედურდეს. ამას ვიზამთ და გვეპატიება კიდეც, რადგან ამდენ საშინელ სისხლის ღვრის შემდეგ, სულით ავადმყოფნი გავხდით და იმდენი არ მოგვეთხოვება, რამდენიც ნორმალურ ადამიანს. იღონეთ რამე, რომ ამაღამ ეს უბედურება არ მოხდეს.

მცირე კამათის შემდეგ ყველა ხმოსნები ნამესტნიკთან იქმნენ გაგზავნილი, რომელთაც დაევალათ: 1) შეეკითხნენ ნამესტნიკს: მართლა შემოვიდნენ ტფილისში შეიარაღებული თათრები თუ არა და, თუ შემოვიდნენ, რატომ ჯარმა გზა არ შეუკრა მათ და 2) ეთხოვოთ ნამესტნიკს, რომ ყოველგვარი ღონისძიება იქმნეს მიღებული მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად.

ამ დროს 9 1/2 საათი იყო. ყველა არა-ხმოსნები საბჭოში დარჩნენ და თათბირი გააგრძელეს. ილაპარაკეს საზოგადო მდგომარეობაზე. ერთი, სომეხი „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის წევრი ვრცელს სიტყვაში შეეხო სომეხთა ცხოვრებას და სთქვა: ტერორი კულტურულ ქვეყნებში უარყოფილია, მაგრამ ჩვენ, ყველა ეროვნების ხალხი, იძულებული ვიყავით ამ გზისთვის მიგვემართნა, რადგან მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესება. ტერორის მეოხებით, სისხლის მსმელ ტირანების მაგივრად დაგვინიშნეს ცოტათ უფრო რბილი კაცები და ახლა ჩვენ ვისწრაფით საუკეთესო მერმისისაკენ, მაგრამ ერთი ელემენტი აფერხებს კავკასიის ყველა ერების კულტურულ მსვლელობას. ეს არის— თათრობა, რომელსაც ამ საუკეთესო, ტურფა ბუნების ქვეშ განათლება სრულიად არ მიეკარა. ტყუილად იფიქრებს ვინმე, თათრები მხოლოდ სომხების მტრები არიან და სხვა ეროვნებას ხელს არ უშლიან. უნდა იცოდეთ, რომ ისინი თავიანთ მემამულეთა და ბეგების შთაგონებით ხელმძღვანელობენ. გავა დრო, თათრები გაიღვიძებენ, დაიწყება აგრარული მოძრაობა და თათრები ამავ ბეგებისა და მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრდებიან. მაშინ იცოდეთ, ბეგები თათრებს მიუსევენ იმ სოციალ-დემოკრატებს, ქართველთ და სხვა ეროვნებათ, რომელთაც დღეს თათრები თითქოს ნდობით ეკიდებიან. საჭიროა, ყველა ეროვნების ხალხი წინააღუდგეს ამ ბნელს ელემენტს და ნება არ მისცეს ხელი შეუშალოს სხვა ხალხთა კულტურასო“.

ორატორს ერთმა სომეხმა და ერთმაც ქართველმა შენიშნეს: ჩვენ გვრწამს, რომ, როდესაც თათრებს შორის აგრარული მოძრაობა დაიწყება და, მაშასადამე თათრობაში კლასობრივი თვითშეგნება შევა, მაშინ ისინი სოც. დემოკრატებს კი არ დაერევიან, არამედ მთელს თავის ძალას ბეგებთა და მემამულეთა წინააღმდეგ მიმართავენ. ორატორის სიტყვები ერთობ გაზვიადებულია და ამგვარ სიტყვებით მხოლოდ ხალხს აღელვებს, რასაც შესაძლებელია დიდი უბედურება მოჰყვესო.

ერთი სომეხი ორატორი შეეხო ტფილისში შეიარაღებულ თათრების შემოსვლის ამბავს და სთქვა: ტფილისის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ორგანიზაციამ მოითხოვა ძველის პოლიციის დათხოვნა და მთელი ქალაქის დაცვა თვითონ იკისრა, მაგრამ, სჩანს, მან ისეთი საქმე იკისრა, რის ასრულებაც არ შეუძლიან. თუ ქალაქის დაცვა იკისრა, მაშინ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ტფილისში არ უნდა შემოეშვა შეიარაღებული თათრები; სოციალ-დემოკრატებს რომ ეს საქმე თვითონ არ ეკისრათ, მაშინ ქალაქი თვითონ იღონებდა რამეს.

სოც.-დემოკრატების წარმომადგენელმა (სომეხმა) შენიშნა: ხსენებულ პარტიას სრულიადაც არ უკისრნია ქალაქის დაცვა გარეშე მტრებისგან. იმან განიზრახა თათრებისა და სომხების უბნებ შორის ჩადგომა, რათა შემდეგში ხელი შეეშალა ხოცვა-ჟლეტისათვის და განზრახვა სავსებით სისრულეში მოჰყავსო.

ამ დროს დარბაზში შემოდის ხმოსანი ტიგრანოვი და ამბობს: ყველა ხმოსნები ჯერ კიდევ სასახლეში დგანან და ნამესტნიკს არ მიუღია, რადგან რაღაც სამხედრო თათბირია სასახლეში გამართული. ვნახეთ მხოლოდ სასახლის რამდენიმე მოხელე, რომელნიც გვარწმუნებენ: ხმები თათრების შემოსვლის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო. ჩვენ, ხმოსნებმა სასახლეში ხმოსნებიდან თავ. ბებუთოვი და ექიმი გაჩაძე ავარჩიეთ და სიმართლის გასაგებად თათრების უბანში გავგზავნეთ, რადგან ნამდვილად არ ვიცით, თათრები შემოვიდნენ ქალაქში, თუ არა.

ხმ. ტიგრანოვი წავიდა. თათბირი გაგრძელდა. 2 საათის შემდეგ ხმოსნები ქალაქის საბჭოში დაბრუნდნენ. იმათ ნამესტნიკი ძლივს ენახათ და ეთქვათ, ტფილისში შეიარაღებული თათრები რად შემოუშვიო. ნამესტნიკს ეპასუხნა: მე თათრებს არ შემოვუშვებ, თუ ბევრნი იქმნებიან, ხოლო თუ ასე ცოტანი შემოვლენ, ხელს ვერ შევუშლით. თქვენ, ხმოსნები, ფიქრობთ, ვითომ ყველაფერი იცით, რაც ქალაქში ხდება, ნამდვილად კი არა იცით-რა. დღეს ქალაქში 600—800 გურული შემოსულა და თქვენ, მგონი, არც კი იცითო.

ხმოსნებს ეთქვათ: ეს ამბავი ჩვენ არ გაგვიგია. ნამესტნიკს ეთქვა, ახლავ დაგიმტკიცებთო და რამდენისამე მოხელისთვის დაეძახნა. ბოლოს გამოირკვა თურმე, რომ ამ დღეს 800 გურული კი არა, მაგრამ 8 გურული კი ტფილისში ნამდვილად ჩამოსულა და იარაღით გოლოვინის პროსპექტზე გაუვლია. ისინი სამუშაოს საშოვნელად ჩამოსულან.

ხმოსნებს, როგორც თვითონ სთქვეს, ნამესტნიკთან ბევრი ეხუმრათ და ეთხოვნათ, ღამით მოსალოდნელი უბედურება თავიდან აეცილებინათ. ნამესტნიკი დაჰპირებოდა: ახლავ შევუთვლი თათრებს, რომ ტფილისიდან წავიდნენ და საზოგადოდ მე ვიქმნები პასუხის მგებელი, თუ ამაღამ იქ ხოცვა-ჟლეტა მოხდებაო.

ხმოსნები ბებუთოვი და გაჩაძე თათრის უბნიდან დაბრუნდნენ. იმათ დანამდვილებით გაეგოთ, რომ ბორჩალოს თათრები ჩამოსულიყვნენ. რამდენსამე მათგანს ეთქვა: ჩვენ არას დავმალავთ. ორასი კაცი ჩამოვედით და 500 იც უნდა ჩამოვიდეს, ჩვენ ხოცვა-ჟლეტის დაწყობა არ გვინდა და მოხარულნი ვიქნებით, თუ საქმე მორიგებით გათავდა. მაშინ ჩვენ დაუყოვნებლივ უკან წავალთ, ხოლო თუ თათრებს სომხებმა ხელი ახლეს, ჩვენს თანამოძმეებს მივეხმარებითო. თათრები შესარიგებლად ასეთ პირობებს სდებენ: 1) სომეხთა „დაშნაკცუტიუნის“ პარტიამ გამოსცეს პროკლამაცია და განაცხადოს, რომ ის თათრებს ხელს არ ახლებს, 2) სომეხთა კათალიკოსმა და თათრების შეიხ-ულ-ისლამმა ერთმანეთი ინახულონ და ერთმანეთის აზრები გაიზიარონ, 3) სომხის სამღვდელოებამ ეკლესიებში უქადაგოს ხალხს, რომ ხელი აიღონ თათართა ხოცვა-ჟლეტაზე, 4) სომხებმა დასცალონ ის პოზიციები, რომლებიც ახლა უჭირავთ და სხვ.

ყველა მუხლები (სულ ექვსია) ხმოსნებს არ ახსოვდათ, მაგრამ მათის აზრით, სუყველა ადვილი ასასრულებელია.

ხალხი ცოტა დამშვიდდა. გადასწყვიტა, ყოველ შემთხვევისთვის, მზად მაინც იყოს და ღამის პირველ საათზე დაიშალა.

ახალი ამბავი

◆ რ. ს.-დ. პარტიის სამტრედიის ჯგუფმა კავკასიის ნამესტნიკს ამ დღეებში ერთი დეპეშა გამოუგზავნა, ხოლო იმავ დეპეშის კოპიო კიდევ „ვოზროჟდენიეს“ რედაქციას. ჯგუფი ატყობინებს ნამესტნიკს, რომ, თუმცა 17 ოქტომბრის მანიფესტით ბოძებული ხელუხლებლობა პიროვნებისა და სიტყვის თავისუფლება ხალხის იმ ნაწილსაც შეეხება, რომელსაც „კაზაკებს“ უწოდებენ და რომელნიც თავიანთ უვიცობით დროებით კიდევ ბრმად იცავენ თვითმპყრობელობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამტრედიაში ამ დღეებში გამართულ მიტინგზე თავისუფალის სიტყვის წარმოთქმისათვის, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ერთი კაზაკი ლაბინის პოლკისა დააპატიმრეს და განსაცდელი მოელის, რადგან სამხედრო (военно-полевой) სასამართლოთი უნდა განსაჯონო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამტრედიის ჯგუფი მედგარ პროტესტს აცხადებს მთავრობის ასეთის საქციელისთვის და ითხოვს კაზაკის სრულიად განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში—შესაძლოა საქმემ არა-სასურველი შედეგი მიიღოსო.

◆ კვირას, 27 ნოემბერს, დღის 2 საათიდან არტილერიის მოედანზე, კაზაკთა ყაზარმების მახლობლად, **ტფილისის „პატრიოტებს“ კრება ჰქონდათ.** კრება გახსნა ერთმა „პატრიოტმა“, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ახლანდელ საქმეების ვითარება, ილაპარაკა „შინაურ მტრებზე“, „მეფისა და მამულის უარისმყოფლებზე“, ბოლოს შეეხო პოლიცმეისტერ ცისს და სთქვა: საჭიროა ჩვენთვის, ნამესტნიკს ვსთხოვოთ ცისსის დაუყოვნებლივ სამსახურიდან დათხოვნაო. ბევრმა ილაპარაკა. ამტკიცებდნენ დღევანდელ გარემოებებში „პატრიოტების“ დროშებ ქვეშ შეერთებისა და მედგრად შებრძოლების საჭიროებას მოწინააღმდეგე პარტიებთან, „საზოგადო წესრიგის დამრღვევლებთან“, რომელთაც ისინი თვითმპყრობელობის მტრად უწოდებენ. ყველა ერთხმად აღიარებდა პოლიცმეისტერ ცისსის დათხოვნის საჭიროებას, როგორც ისეთის კაცისას, რომელმაც „სამშობლოს“ უღალატა. კრებამ დაახლოვებით შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: ეთხოვოს ნამესტნიკს, დაუყოვნებლივ ჩამოერთვას სოციალ-დემოკრატებს ის იარაღი, რომელიც მათ დაურიგდათ, საჩქაროდ გაუქმებულ იქმნან მილიციონერები და ბოლოს მოეღოს ქალაქში მათს თარეშობას; ეთხოვოს კავკასიის ნამესტნიკს, ყველა ეს იარაღები გადაეცეთ მათ, როგორც მეფისა და მამულის ნამდვილ დამცველთ; ეთხოვოს ნამესტნიკს ტფილისში სამხედრო წესები იქმნას შემოღებული, ეთხოვოს აგრეთვე, რომ პოლიცმ. ცისსი დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან (ამ დადგენილებას ბრბო დიდის აღტაცებით მიეგება. აქა-იქ გაისმოდა აღტაცებული ლაპარაკი: „ძირს ცისსი! ჩვენ კოვალიოვისთანა კაცი გვინდა!“); მოეთხოვოს ნამესტნიკს, დაუყოვნებლივ დაიბეჭდვინოს ადგილობრივ გაზეთებს ის „თავის მართლება“ 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრის გამო, რომელიც მათ ყველა რედაქციებში მიიტანეს, მაგრამ არც ერთმა რედაქციამ არ იკისრა მისი დაბეჭდვა, და სხვა. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ: ჟანდარმები, კადეტები, იუნკრები, გოროდოვოები და სხვა ნაძირალები. კრება ხუთ საათამდე გაგრძელდა.

◆ სომეხთა სარევოლუციო ფედერაციის „დაშნაკცუტუნის“ ტფილისის ცენტრალური კომიტეტი უცხადებს ტფილისში მცხოვრებ სომხებს, რომ „სომეხთა სარევოლუციო ფედერაციის“ სახელით არავის არა აქვს ნება მოსთხოვოს ვისმე რამე, თუ არ ექნება აუცილებლად საჭირო დოკუმენტები და კომიტეტის ბეჭედი. ერთხელ კიდევ საჭიროდ ვსთვლით გამოვაცხადოთ, რომ **სომხებმა იარაღი უნდა იხმარონ** მხოლოდ თავის დასაცველად. სასტიკად აკრძალულია იარაღის ხალხის დასანახავად ტარება, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება თავის დაცვის პრინციპებსო.

◆ 27 ნოემბერს, ღამის 11 1/2 საათზე, ვერის **მილიციონერებმა დაიჭირეს** ორი საეჭვო პირი, რომელნიც ერთი მეორეს ბებუთით ეჩხუბებოდნენ. დაჭერილთ მილიციონერებმა იარაღი წაართვეს და ნაძალადევში გაგზავნეს. ამავე ღამეს ვიღაც პროვოკატორებმა წყნეთის ქუჩაზე რევოლვერი გაისროლეს და მიიმალნენ, რითაც დიდი ალიაქოთი გამოიწვიეს.

◆ დალიარის, ძეგამის, სოღოდ-ბულახის, სადახის, ახტალის, სანაინის, სანდარის, სალანლუღის, ყარაიაზის, ულუ-ხანლუს და ევლახის სადგურებიდან იუწყებიან, რომ იქ **მდგომარეობა გამწვავებულია** და ზოგან ხოცვა-ჟლეტაც დაწყებულა.

◆ გუშინ დილით, შვიდ საათზე, ვერაზე შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: როცა მილიციონერების მესამე რიგი გათენებისას სახლში ბრუნდებოდა, ამ დროს ერთმა მათგანმა თოფს სინჯვა დაუწყო; გაუფრთხილებლობისა გამო თოფმა იგრიალა და ერთი, შემთხვევით გამვლელი, ქართველი ფეხში დაიჭრა. თოფი საფანტით ყოფილა გატენილი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **ქუთაისის** სადგურიდან 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ცნობა გადმოგვცეს, რომ **იქ საშინელი ჟლეტაა.** კაზაკები ესვრიან ხალხს. მცხოვრებნიც პასუხს აძლევენ სროლითვე. ქვეითა ჯარი ხალხს მიუდგა. ეს გარემოება ვითომც ვიღაც ხულიგანს უნდა გამოეწვიოს. რამდენად მართალია ეს ცნობა, არ ვიცით.

◆ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, დილის 11 საათზე, შესდგება **ნეიტრალ ქართველების მიტინგი** ვერაზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის ახალ შენობაში, სომეხ-თათართა შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტის ასაცილებლად.

◆ შაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს წინ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და ყველა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტაზე ლაპარაკობდა. ამ დროს შემოიჭრა ჯგუფში ერთი სომეხი (სომხურად ლაპარაკობდა), რომელმაც თათრებს დაუწყო მტყუნება და იქ მყოფ სომხებს აქეზებდა თათრების წინააღმდეგ. „თათრები სულ უნდა ამოვხოცოთო“— გაიძახოდა. ეს, რასაკვირველია, არ გამოეპარა იქვე მდგომ მილიციონერებს, პროვოკატორად იცნეს, დაატუსაღეს და გადასცეს გასასამართლებლად სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას.

◆ შაბათს, 26 ნოემბერს, ტფილისის სადგურზე მილიციონერებმა შენიშნეს სამი საეჭვო დატვირთული ფურგონი, დაატუსაღეს მეფურგუნენი და გადასცეს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას, ხოლო ორგანიზაციამ გახსნის შემდეგ განათავისუფლა მეფურგუნენი, რადგან საეჭვო არაფერი აღმოაჩნდათ. კიდევ სამი ასეთივე ფურგონი გაჩერეს 27 ნოემბერს, მაგრამ აქაც ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა.

◆ პარასკევს, 25 ნოემბერს, ბათუმში მიმავალ სახალხო მატარებელში, საჯავახოს სადგურზე, სოციალ-დემოკრატებმა შემთხვევით დაატუსაღეს სამი საეჭვო კაცი, რომელნიც გურიის მუშათა ორგანიზაციის სახელით ფულს აგროვებდნენ მგზავრთა შორის. დატუსაღებულნი ჩაიყვანეს დ. ლანჩხუთში, გამართეს კრება დამნაშავეთა საქციელზე მოსალაპარაკებლად. დამნაშავეებმა თავიანთი დანაშაული აღიარეს და კრების წინაშე ბოდიში მოიხადეს. ჩამოართვეს შეგროვილი ფული და ლანჩხუთის ორგანიზაციას გადასცეს. ორგანიზაცია სთხოვს შემომწირველთ, ფული უკანვე წაიღონ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილემ, ინჟენერმა რახმანინმა ცირკულიარით შეატყობინა ყველა სადგურებს: რადგანაც სატელეგრაფო ნაწილის უფროსი გომოლიცკი სამსახურიდგან წავიდა, იმის თანამდებობა დროებით მიმოსვლის უფროსს ბ-ნ ბერნდს გადაეცაო.

წერილი მოსკოვიდან ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატისა

მოსკოვი, 19 ნოემბერი, დღის 10 საათი.

ვწერ ამ წერილს საჩქაროდ და გიგზავნით ამხანაგ კურაბცევის ხელით.

ჩვენ მოვედით მოსკოვში 15-ს, ნაშუადღევის 2 საათზე, და ჩვენგან გაიგეს, რომ გუშინ, 14 ამ თვეს, იყო პირველი სხდომა დელეგატებისა, რომელთაც გადაწყვიტეს გამოეცხადონ საერთო გაფიცვა მთელს რუსეთში, თუ 15 ამ თვეს საღამოს 6 საათზე პეტერბურგიდან მიღებული არ იქმნება დამაკმაყოფილებელი პასუხი, რომლითაც უკანვე მიღებულ უნდა იქმნენ სამსახურიდან გამორიცხული ამხანაგები. 6 საათზე გამოვიდა ცნობილი ცირკულიარი გაფიცვის შესახებ.

ამ თვის 14-დან ყოველ დღე ხდება დელეგატთა საზოგადო კრებები; დელეგატთა რიცხვმა რუსეთის ყველა კუთხეებიდან გადააჭარბა ას კაცს.

სულიერი განწყობილება შვენიერია, საოცარი სიმტკიცეა. სრული თანხმობა. მთელი რუსეთი გაფიცულია. მოსკოვში ყოველ დღე იმართება ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგები, რომელსაც ათასობით ესწრებიან.

არავის ეჭვი არა აქვს სრულს გამარჯვებაში. ისეთი ერთ-სულოვნება, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა უწყებამ, რუსეთს არ უნახავს არც ერთ გაფიცვის დროს.

საზოგადოებრივი აზრი ჩვენსკენაა. მინისტრთა კომიტეტმა წინადადება მისცა მინისტრ დურნოვოს გადასწყვიტოს ჩვენი საკითხი. სხვა ნაირათ რომ ვთქვათ—წინადადება მისცა თითონვე გამოაგვაროს მისგან წახდენილი საქმე. ეს შვენიერია! უკეთესიც აღარ უნდა! მინისტრთა კომიტეტი იდება, ვინ გაიმარჯვებს,—ჩვენ, თუ დურნოვო.

იყავით მტკიცეთ. საქმე მალე დასრულდება და ჩვენც დავიმშვიდებით. აქ დარჩება ჩვენგან ამორჩეული ცენტრალური ბიურო, რომელიც გაგიწევს ხელმძღვანელობას.

ჩვენ გადავწყვიტეთ: ან გამარჯვება, ან სიკვდილი. ბრძოლა გაჩაღებულია.

ჩვენ ყველასა გვწამს, რომ გამარჯვება დაგვრჩება; მხოლოდ ყველამ მხარი დაგვიჭირეთ. ვიმეორებ: ყველაფერი კარგადაა; გაფიცულია მთელი რუსეთი განაპირა ქვეყნებითურთ. ყველაფერი შეჩერებულია: ფოსტა, ტელეგრაფი, საფოსტო ვაგონი და ტელეფონი. დურნოვოს, სევასტიანოვს და ამხ. ყველა იერიშები ზედ ენარცხებიან გაფიცვის დიდებულ ორგანიზაციას. ვიმაყობ კავკასიის იდეალურ და ერთ სულოვან მოქმედებით. დიდება თქვენ, თავისუფლებისთვის მებრძოლო ამხანაგებო!

გაფიცებთ, ბოლომდის იბრძოლეთ!—

დელეგატი კვერკველაძე.

სრულიად-რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატების კრების დეპუტატთა პასუხი გრაფ ვიტტესადმი

თქვენო ბრწყინვალებავ!

კრების დავალებით, 18 ნოემბერს ჩვენ მოვედით პეტერბურგში, რათა გადმოგვეცა თქვენთვის ჩვენი ამხანაგების საერთო განცხადება.

ჩვენ მოვინდომეთ თქვენი პირადად ნახვა, მაგრამ თქვენ ამაზე უარი გვითხარით.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ თქვენ არაფრად გვაგდებთ არა მარტო ჩვენ, არამედ მთლად ფოსტა-ტელეგრაფის საქმეზე მომუშავე ხალხსაც. თქვენი უარი სხვაფრივ არ აიხსნება.

თქვენს პასუხში, რომელიც ჩვენ გადმოგვცა თქვენმა რწმუნებულმა ბ. ვუიჩმა, ჩვენ ამოვიკითხეთ ბ-ნ დურნოვოს იგივე ცირკულიარი, ხოლო სხვა სიტყვებით გამოთქმული. არ შეიძლება, თქვენმა ბრწყინვალებამ არ იცოდეს, რა შთაბეჭდილება მოახდინა ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოხელეზე შინაგან საქმეთა დღევანდელ მინისტრის ამ ცირკულიარებმა და სხვა განკარგულებამ, რომლებმაც ჩვენი მოთმინების ფიალა აავსო.

თქვენის განცხადებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ სავსებით ეთანხმებით შინაგან საქმეთა მინისტრს და თქვენ, როგორც კაბინეტის მეთაური, ჩვენის გაფიცვის შედეგის პასუხისმგებლადაც ხდებით.

ამგვარად დაყენებული საკითხი ამტკიცებს, რომ ჩვენ ვკარგავთ ყოველივე იმედს ჩვენის მცირედის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას, და სხვა აღარა დაგვრჩენია-რა, დავეყრდნოთ მომავალში მხოლოდ ჩვენს ძალებს და განვაგრძოთ გაფიცვა იმ დრომდე, სანამ არ დააკმაყოფილებთ შემდეგს ჩვენს მოთხოვნილებებს:

1) **გაუქმდეს ყველა ის საშუალებანი, რომლებსაც ხმარობს მთავრობა, რათა ხელი შეუშალოს ჩვენის კავშირისა და კრების ორგანიზაციასა და მოქმედებასა.**

2) **მთავრობამ არ იხმაროს რეპრესიული ზომები კავშირის თითოეულ წევრთა წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ ისევ მიღებულ იქმნენ ის ამხანაგები, რომლებიც ამ ბოლოს დროს სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ.**

ვაცხადებთ რა ამ ჩვენს სამართლიანს მოთხოვნილებებს, თავს მოვალეთა ვსთვლით, მივაქციოთ თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამით ჩვენ ვუერთდებით ყველა რუსის იმ მოთხოვნილებებს შესახებ პიროვნების ხელშეუხებლობისა, კავშირებისა და კრებების თავისუფლებისა, რომლებიც მთავრობამ ხალხს რამდენჯერმე მისცა ქაღალდზე, ხოლო საქმით კი იგი არა ერთხელ და ორჯელ დაარღვია.

ამით ჩვენ ვათავებთ თქვენს ბრწყინვალებასთან პირად მოლაპარაკების მისსიას.

სრულიად-რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატების კრების დეპუტატები:

ინჟენერი ნ. დვუჟილსკი
ინჟენერი ლ. ზალუცკი
ტელეგრაფზე მომუშავე ქალი ა. რანკი.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობები

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევს 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევს 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევს 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისაკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისაკენ: ნაშუადღევს 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დილის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევს 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ,-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევს 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისაკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისაკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ,; 5) ნაშუადღევს 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევს 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისაკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისაკენ: სამგზავრო ნაშუადღევს 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისაკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და 1 წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევს 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევს 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისაკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევს 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისაკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევს 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისაკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევს 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერესაკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევს 2 ს. 13 წ.

საჩხერედან გამოდის:

შორაპნისაკენ: სამგზავრო, 1) დილის 8 ს. 52 წ. 2) ნაშუადღევს 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისაკენ: სამგზავრო: 1) ნაშუადღევს 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისაკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისაკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) დილის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

განცხადებანი

პირველ დეკემბრიდან გამოვა
ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი
„ს ხ ი ვ ი“
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.

რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ დემოკრატია, და მედგრათ გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.

გაზ. „სხივი“ წელიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.

რედაქციის დროებითი ადრესი: „მოგზაურის“ რედაქცია, ნიკოლოზის ქ. № 44.

ამ წლის დეკემბრიდან გამოვა ყოველ-დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
თავისუფლება, ერთობა, ძმობა!!

დაბარება შეიძლება: ერთის წლით 3 მან., ექვსის თვით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.

ქუთაისშიავ.—ბეჟანეიშვილის მაღაზიაში.

ვინც ამ თავითვე დაიბარებს, დეკემბრის გაზეთი მუქთად დაურიგდებათ.

რედაქტორი პ. მირიანაშვილი,
გამომცემელი კ. მეხხი.

ადრესი: Дворцовая, домъ Дворянства,
редакція „ПАТАРА ГАЗЕТИ“.

Денисовский

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ე. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—12).

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.